

შპს „ნექსტდორი“-ს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2024	31.12.2023
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	45412	793730
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4631849	1612
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	986387	188286
მარაგები	1595475	28709485
მ.შ. - მზა პროდუქცია	0	0
- სხვა	1595475	28709485
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	71879	60403
ბიოლოგიური აქტივები	0	0
გუდვილი	44832111.8	9004997
სხვა არამატერიალური აქტივები	10354	7444
ძირითადი საშუალებები	61656	654464
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	1670666.065	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	50	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ აქტივები	53905840	39420421
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	46428045.2	7111961
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	698	990
საგადასახადო ვალდებულებები	7273	56561
გამოუმუშავებელი შემოსავალი	312614	24032083
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	1664
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	30043	86103.92
სხვა ვალდებულებები	9238	870
სულ ვალდებულებები	46787911	31290233
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	7117929	8130188
გადაფასების რეზერვი		
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		
სულ საკუთარი კაპიტალი	7117929	8130188
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	53905840	39420421
სულ მოკლევადიანი აქტივები	7331002	29753516
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	46757868	31204129

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.11.2025 წ.

დირექტორი: _____ გიორგი ასათიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	2024	2023
ნეტო ამონაგები	816296	5815074
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	607257	0
- მომსახურების გაწევიდან	209039	5815074
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
- სხვა ამონაგები	0	0
	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-622860	-3909950
	0	0
საერთო მოგება	193436	1905124
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5891868	5936
დასაქმებულთა ანაზღაურება	-118964	-55564
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-5139152	-1175774
საპროცენტო შემოსავალი	2526	769642
საპროცენტო ხარჯი	-56553	-756007
იჯარის ხარჯი	0	-20339
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1088438	-218635
სულ საოპერაციო ხარჯები	-508712	-1450741
	0	0
საოპერაციო მოგება	-315276	454383
	0	-3209
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა	0	0
მ.შ. - ფინანსური აქტივების	0	0
- მარაგების	0	0
- სხვა არაფინანსური აქტივების	0	0
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	668	169895
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-318	-583149
	0	0
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-314926	41129
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-314926	41129
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)		
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-314926	41129
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	8130188	8047230
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-697333	41829
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7117929	8130188

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.11.2025 წ.

დირექტორი: _____ გიორგი ასათიანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება		
კონსოლიდირებული		
	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(5100004)	643535
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	4458407	81340
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(106155)	(111582)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-747752	613293
სავალუტო კურსის ეფექტი	(566)	(699)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	793730	181136
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	45412	793730

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.11.2025 წ.

დირექტორი: _____ გიორგი ასათიანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ნექსტდორი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და

რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 402170538. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ზურაბ საკანდელიძის ქუჩა, N16, თუმცა მისი ფაქტობრივი მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილი არის საქართველო, თბილისი, მაჩაბლის ქ.12

1.2. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა ასეთია:

01024023497, გიორგი ასათიანი	100%
სულ	100.00%

1.3. კომპანიამ 06.10.2020წ. შეიძინა შპს „ჰოვერის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი-405287032) 100.00%-ანი წილი, დააფუძნა შპს 10.11.2020წ. შპს ორბეთი (საიდენტიფიკაციო კოდი - 405422403) და ფლობს აღნიშნული კომპანიის 100.00%-ანი წილს, ხოლო 28.10.2021წ. შეიძინა შპს „გელოვანის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 405287032) 100.00%-ანი წილი. ასევე კომპანიამ 24.11.2022 წელს შეიძინა შპს „წყნეთი გარდენის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 402237735) - შემდგომში ერთობლივად წოდებული, როგორც ჯგუფი.

1.4. კომპანიის დირექტორია გიორგი ასათიანი, (პ.ნ. 01024023497)

1.5. ჯგუფის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა, ასევე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მშენებლობა/რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). ჯგუფის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2.6894 ლარი;

1 EUR = 2.9753 ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2.8068 ლარი;

1 EUR = 2.9306 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში		
ფული საბანკო ანგარიშებზე/ოვერდრაფტი	45412	793730
სულ:	45412	793730

ჯგუფს ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“.

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
ბინების რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნები	4631849	1612
სულ:	4631849	1612

3.3. ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	986387	188286
სულ:	986387	188286

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
სარეალიზაციოდ განკუთვნილი ბინები	1595475	28709485
სულ:	1595475	28709485

3.5. ძირითადი საშუალებები:

	შენიშვნები	ავეჯი	მსუბუქი ავტომობილები	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება						
1 იანვარი 2023	-	63 324	25 167	63 512	17 502	169 505
შემენა	605 884			965	1 438	608 287
ჩამოწერა						-
31 დეკემბერი 2023	605 884	63 324	25 167	64 477	18 940	777 792
შემენა			28 053	5 847	4 363	38 264
ჩამოწერა	(605 884)		(25 167)			(25 167)
31 დეკემბერი 2024	0	63 324	28 053	70 324	23 303	185 005
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2023		(31 996)	(11 325)	(26 746)	(3 938)	(74 005)
დარიცხვა	(15 333)	(12 665)	(5 033)	(12 719)	(3 573)	(49 322)
ჩამოწერა						-
31 დეკემბერი 2023	(15 333)	(44 661)	(16 358)	(39 464)	(7 511)	(123 328)
დარიცხვა		(12 665)	(1 403)	(13 243)	(4 402)	(31 713)
ჩამოწერა	15 333		16 358			16 358
31 დეკემბერი 2024	0	(57 326)	(1 403)	(52 708)	(11 912)	(123 349)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2023	-	31 328	13 842	36 766	13 564	95 500
31 დეკემბერი 2023	590 551	18 663	8 808	25 012	11 429	654 464
31 დეკემბერი 2024	0	5 998	26 651	17 616	11 391	61 656

3.6. გამოუმუშავებელი შემოსავალი:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
ბინების რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი შემოსავალი	312614	24032083
სულ:	312614	24032083

3.7. სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
სესხი სხვა რეზიდენტი პირებისგან (მოკლევადიანი ნაწილი)	30043	86104
სულ:	30043	86104

3.8. სასამართლო დავები

ჯგუფს 2024 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.9. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2024 წელს, ჯგუფს არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.